

1. საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის წყაროები

სამართლის გამოხატვის ფორმას სამართლის წყარო ეწოდება.

საკონსტიტუციო სამართლის წყარო ის ფორმა და საშუალებაა, რომლითაც საკონსტიტუციო სამართალი გამოიხატება და აწესრიგებს საკონსტიტუციო სამართლებრივ ურთიერთობებს. წყაროებს 3 ძირითად ნაწილად ყოფენ, სამართლებრივი აქტები, ჩვეულება და საამართლო პრაქტიკა, თუმცა ამატებენ სამართლის დოქტრინას და რელიგიურ წყაროებს. წყაროებს შორის მკაცრი იერარქია მოქმედებს, გამოყოფენ ძირითად წყაროებს(სახელმწიფოს მიერ აღიარებული და მინიჭებული სავალდებულო ძალა) და დამხმარე წყაროებს(ყველაფერი რაც საკონსტიტუციო სამართლის პრაქტიკაში რეალიზირებას აადვილებს)

საქართველო ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. შესაბამისად ძირითადი და სავალდებულო წყაროდ მხოლოდ სამართლებრივი აქტები მიიჩნევა. კონსტიტუციონალიზმში აღიარებული ნებისმიერი სხვა წყარო მხოლოდ დამხმარე სწაროდ განიხილება.

საქართველოს კონსტიტუციის წყაროებია:საქართველოს კონსტიტუცია, რეფერენდუმზე მიღებული აქტები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, კონსტიტუციური შეთანხმება, პალრამენტის აქტები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს კონსტიტუცია ნორმატიული აქტების იერარქიაში პირველია, ის არის ხალხის ნების უმაღლესი გამოხატულება. მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. კონსტიტუციური კანონიც კონსტიტუციასთან ერთად პირველ ადგილზეა. საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს არამხოლოდ ორგანოების საქმიანობას, არამედ ისეთ საკითხებსაც რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია და მის მისაღებად საჭიროდ მიიჩნიეს რთული საპარლამენტო პროცედურა. კანონი, რომელსაც ზოგჯერ ორდინალურ კანონსაც უწოდებენ, საკანონმდებლო აქტების ყველაზე გავცელებული ფორმაა, მის მისაღებად საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა, თუმცა სრული შემადგენლობის 1/3 იც.

2. საქართველოს კონსტიტუციის გადაისწავლა.

კონსტიტუცია არ არის შეუცვლელი და ხელშეუხებელი სამართლის აქტი რომელიც წარსულში რჩება. არამედ ის ცოცხალი დინამიკური დოკუმენტია, სადაც საზოგადოების მორალური და პოლიტიკური სახე

აისახება. ეს ღირებულებები დროთა განმავლობაში იცვლება ამიტომაც აუცილებელია არსებობდეს კონსტიტუციის შეცვლის ხერხი. კონსტიტუციის ცვლილება უნდა იყოს რთული, რათა იძლეოდეს დაფიქრების დაშუალებას, თუმცა იმავდროულად უნდა იყოს პრაქტიკული, განხორციელებადი, შესაძლებელი.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა რთული პროცესია, იგი რამდენიმე კუმულაციური პირობისგან შედგება, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე 1) საკონსტიტუციო ცვლილების უფლებამოსილი ინიციატორი 2) გადასინჯვის საყოველთაო სახალხო განხილვა 3) კენჭისყრისთვის აუცილებელი კვორუმი და შუალედი.

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვისთვის, ინიცირების უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს, ან 200 000 ამომრჩეველს. 2013 წლამდე პრეზიდენტსაც ჰქონდა ინიციატივის უფლება. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას და დადგენილებით ქმის კომისიას სახალხო განხილვისთვის რომელიც 1 თვე მიმდინარეობს. კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შედის კონსტიტუციური კანონის სახით, რომლის დაჩქარებული ან გამარტივებული განხილვა დაუშვებელია. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მისაღებად საჭიროა ორ თანმივდევრულ სესიაზე სულ ცოტა 3 თვის ინტერვალით სრული შემადგენლობის არანაკლებ $\frac{3}{4}$. რეგლამენტის თანახმად, ცვლილების მისაღებად საჭიროა სამი კენჭისყრიდან 2 ერთა და იგივე სესიაზე, და საბოლოო მესამე კი სულ ცოტა 3 თვის შემდეგ.

3. საქართველოს კონსტიტუციური ისტორია.

პირველად ძალაუფლების გამიჯვნის იდეა ჰქონდა ყუთუ არსლანს თამარ მეფის პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ დასს გადაეწყვიტა მეფის ხელისუფლების შეზღუდვა კარავის დადგმით, თუმცა წარუმატებელი იყო ეს. საკონსტიტუციო იდეები ასევე 1832 წლის შეთქმულთა ცალკეულ ნაშრომებში ჩნდება. ისინი კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას გეგმავდნენ, ზოგიერთის დაკითხვიდან ირკვევა რომ ზოგი შვეიცარიულ სისტემას ემხრობოდა. აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წელს მიიღეს და 1919 წელს ლეგიტიმაცია მოხდა, ეს იყო საკონსტიტუციო სამართლებლივი აქტი, ვინაიდან მასში იყო

განსაზღვრული კონსტიტუციონალიზმის ისეთი საკითხები როგორცაა სახალხო სუვერენიტეტი, პოლიტიკური წყობილების ფორმა, მოქალაქეთა უფლებები, სახელმწიფო. დამოუკიდებლობის აქტში ასევე მითითებულია რომ საქართველო ყველა ომში ნეიტრალურია. საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავება 1918 წელს დაიწყო. საქართველოს კონსტიტუციაზე მოახდინა გავლენა დასავლულმა პოლიტიკურ-სამართლებრივმა კონცეპციებმა და დოქტრინებმა. **კონსტიტუცია მიირეს 1921 წლის 21 თებერვალს.**

საქართველოში ოთხი კონსტიტუცია მიიღეს – 1922, 1927, 1937 და 1978 წლებში. 1922 წლის კონსტიტუცია ყველაზე მეტად იყო იდიოლოგიზირებული. 1927 წლისა დაუფარავად ემსახურებოდა პროლეტარიატის დიქტატურას და ხალხს კოუნინზმს ჰპირდებოდა. 1937 წლისა შედარებით დემოკრატიულად უნდა მივიჩნიოტ, მან თითქოსდა გაზარდა სუვერენული ურთიერთობები. რაც შეეხება 1978 წლის კონსტიტუციას ის ისეთ ნორმებს შეიცავს რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოს უფრო შესვენის. ეს კონსტიტუცია გახდა შემდგომში დამოუკიდებლობის გამოცდახების საფუძველი. კონსტიტუციის შედგენას ცდილობდნენ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თუმცა 1991 წლის ამბოხმა ამას ხელი შეუშალა. შემდეგ იყო 1995 წლის კონსტიტუცია, 2004 წლის და 2013 წლის.

4. ტერიტორიული მოწყობა

1. ტერიტორიული მოწყობის ზოგადი შესავალი.

ტერიტორიული მოწყობას აქტიურად იკვლევს საკონსტიტუციო სამართლის თეორია. ტერიტორიული მოწყობა სახელმწიფოს ცენტრსა და მის ერთეულებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის საკითხის განსაზღვრას გულისხმობს. ისტორიულად პეოდალური სახელმწიფოები ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ანიჭებდნენ უპირატესობას, მაგრად დრეს სახელმწიფოს მეტი პასუხისმგებლობა აქვს რისი გადაჭრაც მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ძალუღს. ამიტომაც უმეტესად ადგილობრივ ორგანოებს გადაეცემათ ხოლმე ეს პასუხისმგებლობები. გამოყოფენ მოწყობის 3 ფორმას, უნიტარიზმი, რეგიონალიზმი და ფედერალიზმი.

2. უნიტარიზმი

უნიტარული სახელმწიფოება იყოფა ერთეულებად ,რომელთა ძალაუფლება ადმინისტრაციული ფუნქციებით შემოიფარგლება.იგი არის განუყოფელი და დაუწევრებული. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთი კონსტიტუცია და ერთი კანონმდებლობა, ერთი საგადასახადო სისტემა და ასშ, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს ერთეულის სოციალურ მეურნეულ უფლებებს. ამიტომაც უნიტარულს ზოგადად ახასიათებს 1)ერთეულების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, 2)ორგანოების ირიბი ან პირდაპირი კონტროლი.

2.1 დეკონცენტრაცია და დეცენტრალიზაცია.

დეკონცენტრაცია გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლები მიერ გარკვეული ძალაუფლების გადაცემას ადგილობრივი ორგანოსთვის. ამ დროს ადგილობრივი ორგანოს მოქმედებები პირდაპირ კონტროლირდება ცენტრის მიერ, დეკონცენტრაციის მიზანი ცენტრალური ხელისუფლების განტვირთვაა.

დეცენტრალიზაცია დროს უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ ორგანოს , რომელიც გარკვეული ავტონომიის მქონე სტრუქტურულად და ორგანიზებულად დამოუკიდებელი იურიდიული პირია., ამის კარგი გამოხატულება შეიძლება იყოს თვითმართვებლობა.დეცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით ყოფენ ცენტრალიზებულ, შედარებით დეცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებს.

2.2 ცენტრალიზებული, შედარებით დეცენტრალიზებული და დეცენტრალიზებულ სახელმწიფოები.

ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ტერიტორიულ ერთეულებს მართავს ცენტრის მიერ დანიშნული მმართველი, რომელიც მთლიანად არის დამოკიდებული ცენტრალურ სახელმწიფოზე, ასეთი სახელმწიფოები მცირეა. შედარებით დეცენტრალიზებულზე არჩეულ მოხელესთან ერთად არის არჩევითი ორგანოებიც, რისი მაგალითიც საფრანგეთია. იქ ცენტრის მიერ დანიშნულ პრეფექტთან ერთად არის უშუალოდ მოსახლეობის მიერ არჩეული საბჭოები. თუმცა ამ საბჭოებს მცირე უფლებები აქვთ .

დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის დროს ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის კომპეტენცია ნორმატიულად არის გამიჯნული. ამის მაგალითია გაერთიანებული სამეფო, ბრიტანულ ლიტერატურაში დეცენტრალიზაციას დევიოლუცია ეწოდება.

ადგილობრივი ერთეულები საგრაფოებით არის წარმოდგენილი , ასევე

შოტლანდიას და უელსს ავტონომია აქვთ 1998 წლის რეფერენდუმის გამო. შოტლანდიის პარლამენტი არის ერთპალატიანი ირჩევა 4 წლით, აქვს სანონშემოქმედების და შეზღუდული გადასახადების შემოღების უფლება. უელში არარის პარლამენტი მაგრამ არის უელსის ანსამბლეა, ავტონომია მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათით შემოიფარგლება. ადგან მათ მხოლოდ სანონდაქვემდებარებული აქტების გამოცემა. **ბრიტანული დევიოლუცია არის ლოკალური ორგანოების უფლებამოსილებათა ისეთი გადაცემა როდესაც ცენტრს შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას ის. უნიტარული სახელმწიფოს უპირატესობა არის გადაწყვეტილებების მიღების სიწრაფე და სიმარტივე.**

3. ფედერალიზმი.

ტერიტორიულ მოწყობის ფორმებს შორის ფედერალიზმი ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული. ის პირველად ამერიკაში ჩამოყალიბდა, რადგან იყო როგორც ეროვნული მთლიანობის ასევე შტატების შენარჩუნების სურვილი. **განანსხავებენ სახელშეკრუკები და საკონტიტუციო ფედერალიზმის. სახელშეკრუბლო წარმოიშვება უნიტარული სახელმწიფოს გაერთიანების გზით. როგორც წესი ისინი ქმიან ჯერ კონფედერაციას შემდეგ გადადიან ფედერალიზმში როგორც შვეიცარია და ამერიკა. კონტიტუციურის დროს ფედერალიზმის დაფუძნებელი არის კონტიტუცია და არა სუვერენული ქვეყნების შეთანმება. ამ დროს ცენტრალური ხელისუფლება ერთეულებს უფლებებს ანიჭებს.**

ფედერალიზმი შეიძლება დახასიათდეს როგორც რთული სახელმწიფო რომელიც მცირე სახელმწიფოებისგან შედგება. ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ თავიანთი კონსტიტუცია გერბი, პარლამენტი, ასე რო ვთქვათ ისინი არასუვერენული სახემწიფოები არიან , რომლებიც გაერთიანებლიები არიან დიდი სუვერენულ სახელმწიფოში. ფედერალიზმში ხელისუფლების 2 დონეა საერთო ფედერალური ხელისუფლება და ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლება.

3.1 კომპეტენციის გამიჯვნა

განასხვაებენ 4 სახის კომპეტენციუებს 1) **ფედერაციის ექსკლუზიური უფლება**-როგორც წესი ისეთი საკითხებია რომლებიც ფედერალურ ხელისუფლებას ეხება, ქვეყნის თავდაცვა ფულად საკრედიტო ურთიერთობა და სხვა. 2) **ფედერაციის სუბიექტის ექსკლუზიური უფლებამოსილება**-ეს ისენია რაც ფერერაციის სუბიექტს ეკუთვნის

როგორც არის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება, განათლება სპორტი
ჯანდაცვა და სხვა. 3)ერთობლივი ან კომპურენციული უფლებები-
უფლებები რომლის მოეწესრიგებაც ორივეს შეუძლია 4)ნარჩენი -რაც
არცერთს არ მინეკუთნება ჩამოთვლილთაგან.

**განანსხავებენ სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფედერალიზმს, სიმეტრიულია
როცა სუბიექტები თანაბარი უფლებებით არიან ცენტრთან , ხოლო
ასიმეტრიული პირიქით, მაგალითად აშშ-ში კოლუმბიის ოლქს**

4.რეგიონალიზმი

რეგიონალიზმი მოწყობის ფორმაა რომელიც წარმოიშვა იტალია ესპანეთში
ფაშისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ, მკაცრი ცენტრალიზაციის
საპასუხოდ.რეგიონალიზმი ეყდნობა მკაცრს

**დეცენტრალიზაციას,ერთეულების ავტონომიას. როგორც წესი რეგიონებს
არ აქვთ ერნაირი სტატუსი ანუ ასიმეტრიულია. ზოგადად რეგიონი
ადგილობრივ პრობლემებს აგვარებს რრაც შეეხება განათლებას
ჯამთელობას პოლიციას და ასშ, თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებას
შეუძლია მიიღოს კანონთა ჩარჩო. დავებს კი წყვეტს საკონსტიტუციო
სასამართლო.**

5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ პრეზიდენტის და პარლამენტის ნორმატიული აქტები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და პრეზიდენტის დეკრეტი
კანონის ძალის მქონდე ნორმატიული აქტებია. პარლამენტის რეგლამენტით
განისაზღვრება შინაგანი სტრუქტურა , მუშაობა და აღმასრულებელ
ორგანოსთან ურთიერთობა, კანონმდებლობის პროცესი, რეგლამენტის
მომზადების და კანონის მიღების წესი, რეგლამენტს იღებს პარლამენტის
დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არა ნაკლებ სრული შემადგენლობის 1/3.
პრეზიდენტის დეკრეტი გამოიცემა კონსტიტუციით გათვალისწინებულ
შემთხვევაში. პარლამენტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია
პარლამენტის დადგენილება, რომელიც მიიღება კანონით განსაზღვრულ
შემთხვევაში.

საქართველოს პრეზიდენტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია
პრეზიდენტის ბრძანება და ბრძანებულება, პრეზიდენტის ბრძანებას
გამოსცემს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება მოსილების ფარგლებში
როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ხოლო ბრძანებულებას პრეზიდენტის
უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, კანონმდებლობით

განსაზღვრულ შემთხვევებშიდა მის საფუძველზე. ორივე ბრძანებულებაც და ბრძანებაც შეიძლება იყოს ნორმატიული და ინდივიდუალურიც. არანორმატიულია რომელიც ინდივიდუალურ და საკადრო საკითხებს ეხება.

6. საქართველოს 95 წლის კონსტიტუცია.

ამ პერიოდის სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება საპრეზიდენტო სისტემას მივაკუთნოთ თუმცა პრეზიდენტის სასარგებლოდ დარღვეული წონასწორობით. პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება დაეთხოვა პარლამენტი მაგრამ პარლამენტს ჰქონდა უფლება იმპიჩმენტის წესით გადაეყენებინა პრეზიდენტი, თუმცა ეს თითქმის შეუძლებელი იყო მისი სირთულის გამო. ა) პარლამენტის მიერ კანონის მიღებისას პრეზიდენტს ჰქონდა შემაყოვნებელი ვეტო რომლის გადალახვა 3/5 ხმით შეიძლებოდა. ბ) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ჰქონდა პრეზიდენტს რაც არღვევდა წონასწორობის ბერკეტს. გ) პრეზიდენტი ნიშნავდა მინისტრებს პარლამენტის თანხმობით მაგრამ ითხოვდა ერთპიროვნულად. დ) საგანგებო მდგომარეობას აცხადებდა პრეზიდენტი ამტკიცებდა პარლამენტი. ე) ბიუჯეტის წარდგენის უფლება ჰქონდა მხოლოდ პრეზიდენტს, პარლამენტს არ ჰქონდა უფლება რამე შეეცვალა მისი თანხმობის გარეშე. ამ საკითხებში იქნებოდა დაპირისპირე სანამ არ შეთანხმდებოდნენ, თუ ვერ შეთანხმდებოდნენ იქნებოდა ჩიხი, ვერ დაითხოვდა პარლამენტს პრეზიდენტი და ვერც პირიქით კონსტიტუციის დარღვევის გარეშე.

7. რესპუბლიკა

რესპუბლიკაარის სახელმწიფოს ისეთი ფორმა , სადაც ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხელისუფლების ორგაოები ხალხის მიერ აირჩევიან და გარკვეული ვადით.. გამოყოფენ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეულ მოდელებს .

7.1 საპრეზიდენტო მართველობის ზოგადი დახასიათება.

საპრეზიდენტო მართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1787 წელს წარმოიშვა. პარლამენტი საკანონმდებლო ფუნქციით არის არჰურვილი, პრეზიდენტი აღმასრულებელით, ხოლო სასამართლო შემფადებელით. საკანონმდებლო ორგანო და მთავრობა ცალ ცალკე ერთეულებია, როგორც

პარლამენტი ვერ დაშლის მთავრობას ისე ვერ გადააყენებს მთავრობა პარლამენტს. პრეზიდენტის ინსტიტუტში თავის თავში აერთიანებს სახელმწიფოს აღმასრულებლისა და ხელისუფლების მეთაურის ფუნქციებს. პრეზიდენტის კაბინეტი არ არის დამოუკიდებელი ორგანო, ის სათათბირო ორგანოა რომელიც მხოლოდ პრეზიდენტისგან იღებს ბრძანებებს. მისი გადაყენების უფლებაც მარტო მას აქვს. პრეზიდენტის შეცვლა ხდება მყარი ინტერვალებით გარდა გამონაკლისებისა.

7.2 შტოებს შორის ურთიერთ გაწონასწორების სისტემა

არც პრეზიდენტს არც მისი კაბინეტის წევრებს არ აქვთ საკანონმდებლო უფლება, კონგრესთან მიმართებაში პრეზიდენს მხოლოდ საგანგებო სიტუაციაში მისი მოწვევა შეუძლია, და არა დათხოვნა. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება რომელიც კონგრესს შეუძლია დაძლიოს პალატის 2/3 ის მხარდაჭერით. უნდა გავითვალისწინოთ ჯიბის ხელის ვეტო, თუკი პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს მორჩა იქ ბაზარი. ამის მიუხედავად კონსტიტუცია აიძულებს პრეზიდენტს და პარლამენტს ითანამშრომლონ, პრეზიდენტი ვერ განახორციელებს რამეს კონგრესის თანხმობის გარეშე.

8. საპარლამენტო სისტემა

პარლამენტარიზმის ისტორია ინგლისს უკავშირდება. დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ 1265 წლის კურია-რეგის. უნდა გავითვალისწინოთ მე-17 საუკუნის რევოლუცია და ოლივერ კრომველის რესპუბლიკას, შემდგომში რესპუბლიკის არდგენა და უფლებათა ბილის წარმოშობა, რომელიც მონარქს აღმასრულებელი უფლებას უტოვებდა. მოგვიანებით ბრიტანული სისტემა მთელ ევროპაში გავრცელდა. საპარლამენტო სისტემა

ძალაუფლების გამიჯვნის ისეთი პრიციპია, რომელიც პარლამენტის უზენაესობის პრინციპს ეფუძვნება. ის არის ხელისუფლების კონცენტრაციის ცენტრი, სახალხო სუვერენიტეტის ერთადერთი წყარო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ქმნის და აკონტროლებს მთავრობას. პარლამენტარიზმის ძირითადი იდეა იმაშია რომ მთავრობას უნდა ჰქონდეს პარლამენტის ნდობა. საპარლამენტო სისტემა იმ სისტემის ანტითეზაა რომელიც ძალაუფლების გამიჯვნაზეა

დაფუძნებული. საპრეზიდენტო სისტემაში ერთ პირს არ შეიძლება ჰქონდეს როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ფუნქცია. საპარლამენტოში ეს დასაშვებია.

8.2 სახელმწიფო მეთაური.

საპარლამენტო სისტემა სახელმწიფო მეთაურსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს ერთმანეთისგან მიჯნავს. სახელმწიფო მეთაურს აქვს მხოლოდ ფორმალური, ცერემონიული უფლებები. მას არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის ან ვეტოს უფლება, უფლებამოსილება ეხება დაჯილდოებას დანიშვნას და შეწყალებას.

8.3 მთავრობა

მთავრობა კოლეგიარული ორგანოა, პრემიერ მინისტრი არის პირელი პირი მაგრამ გადაწყვეტილებებს ირებს აუცილებლად კოლეგიარულად, განსხვავებით საპრეზიდენტოსგან სადაც კაბინეტს უფრო მრჩეველის როლი აქვს. პრემიერ მინისტრისა და კაბინეტის დანიშვნა სახელმწიფო მეთაურის პრივილეგიაა მაგრამ ფორმალურია. ერთი გამარჯვებული პარტიის შემთხვევაში სწრაფად ყალიბდება მთავრობა, თუ არადა არის სხვა რთული გზაც. მთავრობის ასარჩევად ჩამოყალიბდა ინფომეთაურისა და ფორმეთაურის ინსტიტუტი. ინფომეთაური- არის ყველა პარტიისთვის მისაღები პოლიტიკოსი, ის იკვლევს კვალიციებისა და პრემიერმინისტრის დანიშვნის კანდიდატურებს. ფორმეთაური-სახელმწიფო მეთაურის მიერ არჩეული პარტიის ლიდერი, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს მთავრობა.

8.4 უნდობლობის ვოტუმი.

ზოგადად უმრავლესობასა და მთავრობას შორის მუდმივი ნდობის შენარჩუნება პარლამენტარიზმის მთავარი პრინციპია. თუკი ეს ნდობა არ არსებობს ერთერთი მოთამაშე ვარდება. არის ორნაირი უნდობლობის ვოტუმი დესტრუქტულ და კონსტრუქტულ ოტუმებს. მემკვიდრის განსაზღვრის გარეშე გადააყენებენ არის დესტრუქტული. კონსტრუქტული არის პრემიერ მინისტრის კანდიდატურის წამოყენება და დაგაყენება ერთად.

9. მონარქია

მონარქია ერთის ხელისუფლებას ნიშნავს. მონარქია ისეთი ფორმაა სადაც მმართველი არც არჩეული არც სახელმწიფოს წარმოებულა. მონარქიული მმართველობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით 1) მონარქი სიკვილამდე უმაღლესი ხელისუფლების მატარებელია. 2) ის თავის პოსტს პერსონალურად იკავებს. 3) ის თავისუფალია პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, 4) მას მხოლოდ ღმერთი განსჯის

მაგრამ რევულუციების დროს ეს შეიცვალა. 5) ტახტი გადადის მემკვიდრეობით. განანსხვავებენ **აბსოლიტურ, დუალისტურ და კონსტიტუციურ მონარქიებს**. აბსოლიტურ მონარქიაში სახელმწიფო მართველობის სამივე შტო (საკანომდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მონარქის ხელშია. **დუალისტურ მონარქიაში სუსტად მაგრამ მაინც არის მმართველობის დაყოფა. კონსტიტუციური მონარქია კი ძალზედ გავს საფრეზიდენტო რესპუბლიკას, განსვავებით იქიდან რომ მონარქი მემკვიდრეობით ირებს ტახტს.**

10. კონსტიტუციის ფუნქცია და სტრუქტურა

კონსტიტუციის ფუნქცია ის ჭემმარტი დანიშნულება და მიზანია, რის გამოც ხდება მისი მიღება და რის გამოც მისი არსებობაა საჭირო.

შესამლებელია 3 უმთავრესი ფუნქციის გამოყოფა. **სამართლებრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური.**

სამართლებრივი ფუნქცია როგორც სამართლებრივი აქტის, ხასითში ვლინდება, მისი მთავარი მიზანია, მოაწესრიგოს სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების და ინსტიტუტების ურთიერთობები. შექმნას სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი სისტემა და მართლწესრიგი. **პოლიტიკური ფუნქცია** გულისხმობს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ქვეყანაში პოლიტიკურ მოწყობას და თანაფარდობას. **იდეოლოგიური ფუნქცია** ვლინდება კონსტიტუციის იდეებში და პრინციპებში.

სახელმწიფოთა კონსტიტუცია ძირითადად 3 ნაწილისგან

შედგება, **პრემბულა, ძირითადი და გარდამავალი დებულებები.**

პრემბულა ერთგვარად კონსტიტუციის საპროგრამო შესავალია, აქ ასახულია კონსტიტუციის ძირითადი იდეები. ძირითად დებულებებში მოცემულია სახელმწიფო მოწყობის და ადამიანის ძირითადი უფლებები.

გარდამავალ დებულებებში მოცემულია ნორმატიულ აქტების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

11. კონსტიტუციის არსი და მისი სახეები

კონსტიტუცია სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანია, ის არის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აფუძნებს და უზრუნველყოფს ხელისუფლების განხორციელებას. კონსტიტუცია

ლათინური სიტყვაა და დადგენას, დაფუძნებას, დამყარებას ნიშნავს. კონსტიტუციას განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს სამართლებრივ სისტემაში. კონსტიტუცია ერთდროულად წარმოადგენს ფილოსოფიას, პოლიტიკას, საზოგადოებასა და სამართალს. ის მხოლოდ სამართლებრივი აქტი არ არის, იგი უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია. ხშირად დარღვეული სუვერენიტეტის აღდგენისა და გამთლიანების, საზოგადოების ერთიანობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. დაუშვებელია კონსტიტუციაში ცვლილებების გაუაზრებელი და ხშირი განხორციელება, რადგან ეს კანონის სამართლებრივ და სოციალურ სტატუსს აკნინებს, მის მიმართ ნდობას ამცირებს. კონსტიტუცია სამართლებრივი სისტემის საფუძველია, უზენაესი აქტი, რომელიც ყველა სხვა სამართლებრივ ნორმაზე მაღლა დგას. კონსტიტუციის ტექსტის მიზანია მომავალი თაობებისთვის ძირითადი მიმართულების მიცემა, უმრავლესობის კონტროლი და ინდივიდუალურ ღირებულებათა და თავისუფლებათა დაცვა. საკონსტიტუციო ნორმები აყალიბებს წესებს და პრინციპებს, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების მიზნებსა და ლეგიტიმურ გამოყენებას განსაზღვრავს. კელზენის აზრით, კონსტიტუციის ნორმები არ უნდა იყოს ძალზე ზოგადი და ბუნდოვანი და თუკი მსგავსი დებულებები მაინც აღმოჩნდება კონსტიტუციის ტექსტში, აქტის კონსტიტუციურობის დადგენის თაობაზე დავისას სასამართლო მათი გამოყენებისგან თავის შეკავებას მაქსიმალურად უნდა ეცადოს. ფორმის მიხედვით, გამოყოფენ დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს. **დაწერილი კონსტიტუცია** ერთი ან რამდენიმე სამართლებრივი აქტია, რომელიც სახელმწიფოს ძირითად წესებს განსაზღვრავს. **დაუწერელი კონსტიტუცია** არა მხოლოდ ბევრი სამართლებრივი აქტის, არამედ სამართლის სხვადასხვა წყაროს ერთობლიობაა, რომლებიც საკონსტიტუციო სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს. დაუწერელი კონსტიტუციის კლასიკური მაგალითია გაერთიანებული სამეფო. **დაწერილი კონსტიტუციები** შეიძლება იყოს კოდიფიცირებული (სისტემატიზებული) ან არაკოდიფიცირებული. **კოდიფიცირებული კონსტიტუცია** ერთი სამართლებრივი აქტია, ხოლო **არაკოდიფიცირებული კონსტიტუცია** რამდენიმე თანაბარ მნიშვნელოვანი კანონის ერთობლიობაა, რომლებშიც

სახელმწიფო მოწყობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხებია თავმოყრილი. დროში მოქმედების მიხედვით, განასხვავებენ მუდმივ და დროებით კონსტიტუციებს. **მუდმივია კონსტიტუცია**, რომელიც მოქმედებაზეა გათვლილი და მოქმედების ვადას წინასწარ არ ითვალისწინებს. **დროებით კონსტიტუციას**, იგი, როგორც წესი, სახელმწიფოს გარდამავალ ეტაპზე მიიღება და მისი მოქმედების ვადა წინასწარაა განსაზღვრული. დროებით კონსტიტუციას ე.წ. მცირე კონსტიტუციასაც უწოდებენ.

მიღების ფორმის მიხედვით, არსებობს სახალხო და ნაჩუქარი კონსტიტუციები. **სახალხოა** ისეთი კონსტიტუცია, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად, უშუალოდ ხალხის მიერ ან სპეციალური წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიიღება, **ნაჩუქარი კონსტიტუციის** მიღების რამდენიმე წყარო არსებობს: სახელმწიფოს მეთაური იღებს ძირითად კანონს ერთპიროვნულად. (მონარქი) **სახალხო კონსტიტუციებში** განასხვავებენ უშუალო და შუალობითი წესით მიღებულ ძირითად კანონებს. **უშალოდ** მიღებული კონსტიტუცია არის უშუალოდ ხალხის მიერ, რეფერენდუმის საშუალებით მიღებული კონსტიტუცია. **შუალობითი** წესით კონსტიტუცია მიიღება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. (პარლამენტი)

ცვლილებების და დამატებების შეტანის წესის მიხედვით, არსებობს მყარი და მოქნილი კონსტიტუციები. **მყარია კონსტიტუცია**, თუ მასში ცვლილების განხორციელების მექანიზმი გართულებულია, სჭირდება სპეციალური პროცედურები და გაცილებით დიდი კვორუმი. **მოქნილი კონსტიტუცია** ცვლილების მარტივ პროცედურას ითვალისწინებს.

პოლიტიკური რეჟიმების მიხედვით, განასხვავებენ დემოკრატიულ და არადემოკრატიულ კონსტიტუციებს. **დემოკრატიულია კონსტიტუცია**, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიულ ფასეულობებს, ძალაუფლების გამიჯვნისა და სახელმწიფო მოწყობის დემოკრატიულ პრინციპებს. **არადემოკრატიულ კონსტიტუციებს** განეკუთვნება ისეთი კონსტიტუციები, რომლებიც რომელიმე პოლიტიკური ძალის ან პირის ინტერესებსაა მორგებული და დარღვეულია კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპი.

მმართველობის ფორმის მიხედვით, განასხვავებენ რესპუბლიკურ და მონარქიულ კონსტიტუციებს. ორივე მათგანი თითქმის მსგავსია, მათი

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მონარქიულ კონსტიტუციებში ხშირად ვხვდებით ისეთ საკითხებს რაც არის ტახტის მემკვიდრეობის წესი და ა.შ. რაც რესპუბლიკურისთვის დამახასიათებელი არაა.

სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, არსებობს უნიტარული და ფედერალური კონსტიტუციები. მსგავსი სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია იამზე, თუ რომელ ტერიტორიულ მოწყობას ადგენს სახელმწიფოს კონსტიტუცია.

კონსტიტუციის პრაქტიკული მნიშვნელობის მიხედვით, გამოყოფენ ფიქტიურ და ფაქტობრივ კონსტიტუციებს. თუ კონსტიტუცია ნამდვილას სახელმწიფოს ძირითადი კანონია და პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება, ფაქტობრივი კონსტიტუციაა, ხოლო თუ მას მოჩვენებითი ფუნქცია აქვს, არ სრულდება და მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ ტექსტად რჩება.